ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №184/01-01 "09" "10" 2014წ.
დანართი №1

2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში (იანვარი - მაისი)
ჰელსინკის უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სტიპენდიების მიმღებთა
შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შეჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია თსუ-სა და ჰელსინკის უნივერსიტეტის თანამშრომლობის პროექტის «ბალტიის ზღვის რეგიონის – კავკასიური ქსელის (BASERCAN+)» ფარგლებში, 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის გამოყოფილი ერთსემესტრიანი სასწავლო სტიპენდიების მოსაპოვებლად, კონკურსში მონაწილე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოცილაურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტებს შორის სტიპენდიანტების შერჩევა.

2. კანდიდატი
კონკურსზე დაიშვებიან თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტები, რომლებიც ფლობენ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატებს (TOEFL (minimum score of 79 IBT) ან Academic IELTS (minimum score of 6), კონკურსში მონაწილე სტუდენტები, რომლებმაც მაგისტრატურის მისაღებ გამოცდაზე გაიარეს ინგლისურენოვანი ინსტიტუციური ტესტირება (B2 დონის ტესტი) და მიიღეს არანაკლებ 81 ქულა და ასევე კონკურსში მონაწილე სტუდენტები, რომლებმაც დაწერეს თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის ინსტიტუციური ტესტი (B2 დონის ტესტი) და მიიღეს არანაკლებ 81 ქულა.

3. სტიპენდიანტის შერჩევა
ა) სტიპენდიანტთა შერჩევა ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:
1. მოტივაციის წერილი
2. ზეპირი პრეზენტაცია (ინგლისურ ენაზე)
3. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)
ბ) კონკურსში მონაწილე სტუდენტების მიერ წარმოდგენილი ინგლისური ენის კომპეტენციის დამადასტურებელი სერთიფიკატი/ცნობა სტიპენდიანტთა შერჩევისას არ გამოიყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანდიდატთა საბოლოო საკონკურსო შეფასება თანაბარია.

4. კომისიის შეფასება
ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.
ბ) კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაციის წერილი ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. გამარჯვებულის გამოვლენა
გამარჯვებულის გამოვლენა ხდება კომისიის მიერ ზემოაღნიშნულ შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით სტიპენდიატთა შერჩევის გზით.